4.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ სრულად აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიადგა მეორე მხარეს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულების შედეგად.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3. ყველა იმ პირობის დადგომისას, რომელიც ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის მხარეები ურთიერთობისას ხელმძღვანელობენ სამეწარმეო ეთიკისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

4.4. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 96.) დავა განხილულ და გადაწყვეტილ იქნება შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" დებულების შესაბამისად. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი რომელსაც ნიშნავს აღნიშნული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის თავჯდომარე. მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეთა მიერ შესასრულებლად.

4.5. იურიდიული მისამართის, მომსახურე ბანკისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;

4.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით. სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად მოხდება ხელშეკრულების განახლება იმავე ვადით, იმ შემთხვევაში თუ ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას;

4.7. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება მხარეებს შორის მანამდე არსებული ყველა სახის ხელშეკრულება თუ შეთანხმება პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით;

4.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

საჩხერის №3 საჯარო სკოლა.	შპს ფენიქსი
ვახტანგ ნოზაძის ქ№ 19.	ქ. სანდრო ...ის ქ№6
ანგარიში - 12111406702 0000	ტელ: 899-17 97 10
ს/კ. 239 402 678	ს/კ 239403196
ბანკის კოდი - 220101467	ანგ. 36020025
სკოლის დირექტორი :	დირექტორი.